



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ლოგისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19 ნოემბერი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26 დეკემბერი, 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლოგისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	საინჟინრო ლოგისტიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული და გერმანული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ბახტაძე, სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ კოჩაძე, აწსუ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათელა გიორგაძე, სს „ფუდმარტი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა დიასამიძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შემუშავებულია გერმანიის გამოცდილებაზე დაყრდნობით და გერმანული მხარის თანამონაწილეობით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებს აკრედიტირებულ პროგრამებს სატვირთო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. აღნიშნული პროგრამა აკრედიტებულია 2014 წლის 13 დეკემბერს აკრედიტაციის საბჭოს N282 დადგენილებით, რომელიც ხორციელდება სამ გერმანულ უნივერსიტეტთან: ვილდაუს ტექნიკურ გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ბრანდერბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან და ფლენსბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში.

სტუ-ს და ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამის წარჩინებულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ მეორე, ზემოთაღნიშნული უნივერსიტეტის დიპლომიც - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში. პროგრამას გააჩნია საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც მონაწილეობს ქართული მხრიდან ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, გერმანული მხრიდან კი, პროექტის მენეჯერი, ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. საკოორდინაციო საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ და განიხილავს: ცვლილებებს სასწავლო პროგრამაში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის, პრაქტიკის ორგანიზების, კვლევით პროექტებში ურთიერთანამშრომლობის საკითხებს.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ითვალისწინებს 240 კრედიტის დაგროვებას. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ნაცვლად „ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი“-სა კურსდამთავრებულს ენიჭება „საინჟინრო ლოგისტიკის ბაკალავრი“-ს კვალიფიკაცია.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

დამსაქმებელთა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, მე-7 სემესტრის სასწავლო კურსებში განხორციელდა ცვლილებები და პროგრამაში შემოღებულ იქნა სატრანსპორტო ნაკადების მოდელირებასთან და ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები, ასევე რიგ სასწავლო კურსებს მიენიჭა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი, ასევე დაემატა თავისუფალი კომპონენტიც. პროგრამა ხორციელდება ქართულ და გერმანულ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სასწავლო კურსები – 193 ECTS კრედიტი; პრაქტიკა – 27 ECTS კრედიტის ოდენობით; საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 10 ECTS კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები – 4 ECTS კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები- 6 ECTS კრედიტი. სულ სავალდებულო 240 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამა „ლოგისტიკა“ ეფექტურია მისი პრაქტიკული სწავლების კომპონენტებით, რომლებიც შემუშავებულია პარტნიორი გერმანული უნივერსიტეტების პრაქტიკული სწავლების მოდელზე დაყრდნობით. სასწავლო პრაქტიკა და პრაქტიკა საწარმოებში მაღალი წილითაა წარმოდგენილი მე-3, მე-7 და მე-8 სემესტრებში.

პრაქტიკის ეფექტურად წარმართვისათვის ხელმოწერილია 10 მემორანდუმი და ხელშეკრულება საქართველოში წამყვან კომპანიებთან. მათ შორისაა: თეგეტა მოტორსი, პეპსიკო საქართველო, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, ავერსი რაციონალი, თი-ბი-სი ბანკი, ვიმ-ბილ-დან საქართველო, დიპლომატ საქართველო, ჯორჯიან ექსპრესი (DHL-ის წარმომადგენელი საქართველოში), ჰაიდელბერგ ცემენტი, აკა მერსედესი. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დაგეგმოს და მართოს შესყიდვების, წარმოების და გასაღების ლოგისტიკის პროცესები. დაგეგმოს და შეასრულოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის პროექტები - ლოგისტიკური ცენტრები, საწყობები, ინტერმოდალური ტერმინალები. იგი შეძლებს გაანალიზოს ლოგისტიკურ ქსელში არსებული პრობლემები და შეიმუშავოს გადაწყვეტილებები ლოგისტიკური ქსელის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 19 ნოემბერს. 18 ნოემბერს, ექსპერტთა ჯგუფის შეკრებაზე (ლელა ბახტაძე (თავმჯდომარე), თეიმურაზ კოჩაძე (წევრი),

ნათელა გიორგაძე (წევრი), ლაშა დიასამიძე (წევრი)) განხილულ იქნა თვითშეფასების ანგარიში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განისაზღვრა ძირითად საკითხთა წრე, რომელთან დაკავშირებითაც დაისვა შეკითხვები ვიზიტის განხორციელებისას.

ა. წ. 19 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:20 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის შესაბამისად, შედგა შეხვედრა-გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილესთან მეცნიერების დარგში, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსთან, სასწავლო დეპარტამენტის უფროსთან, აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტის უფროსთან); ასევე თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსთან. ვიზიტის გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. შემდეგ გაგრძელდა შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებელთან. გადაიხედა საბაკალავრო და პრაქტიკის ნაშრომები.

ინტერვიუს ფარგლებში, განხორციელდა სკაიპით ჩართვა პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად უშუალოდ მონაწილეობს სტუდენტებისთვის ეფექტური გარემოს შექმნაში. მასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განსავითარებლად ყველა შეთანხმებაში, გასაუბრების მომენტში ის იმყოფებოდა გერმანიაში და მისი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ახალი მატერიალური ბაზების შექმნა და გაცვლითი პროგრამის გაფართოება. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პირადად უკავშირდება დამსაქმებლებს და მათი მოძიება ხდება მისი სიღრმისეული ჩართულობით. ეს გარემოება დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროსაც. ექსპერტები ინტერნეტ სივრცით ასევე გავესაუბრეთ სტუდენტს, რომელიც უკვე დასაქმებული იყო.

სამუშაო შეხვედრა წარიმართა საქმიან გარემოში, აკადემიურად, კონტრუქციულად, კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის ფონზე. ვიზიტის მსვლელობისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დროულად წარმოადგინეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შესაბამისი დოკუმენტაციისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან. კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ვინაიდან 2.1; 2.2; 2.3; 2.4; 2.5 და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 5.1; 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა კონკურენტუნარიანია, უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ჰყავს სტუდენტები, რომელთა უმეტესი ნაწილი პროფილის მიხედვითაა დასაქმებული. პროგრამა შემდგომ განვითარებაზეა ორიენტირებული.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის განსავითარებლად მომავალში გერმანელი პარტნიორი სასწავლებლების/უნივერსიტეტების მონაწილეობით სწავლების/პრაქტიკის მეთოდით სტუდენტისთვის უფრო მეტი გამოცდილების შეძენის მიზნით შეიქმნას გაცილებით თანამედროვე და მულტიფუნქციონირების სიმულატორი, სადაც გაწერილი იქნება მთელი რიგი ლოგისტიკური პროცედურები თავისი ფორსმაჟორებით, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს შეძენილი ცოდნა და იდეა პრობლემის აღმოფხვრაში სიმულაციის გამოყენებით.

სილაბუსების მიხედვით, გამოიკვეთა მეტი სპეციალიზაცია სასაწყობე/მომარაგების ლოგისტიკის მიმართულებით, ვიდრე საერთაშორისო ლოგისტიკის. მაგალითად, სულ ცოტა 5 სილაბუსი მოიცავს სასაწყობე ლოგისტიკას და მათან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად, როგორიცაა წარმოების ლოგისტიკა. ერთის მხრივ, ლოკალურ ბაზარზე ნაშთების და მარაგების მიმართ აქტიური დამოკიდებულების ფონზე გასაგებია ეს მისწრაფება (სავარაუდოდ დასაქმების მაღალი მოლოდინის გამო) თუმცა, თავად პროგრამის საერთაშორისო ბუნებიდან გამომდინარე, ასევე აღნიშნული სფეროს მრავალმხრივობის და ინტერნაციონალურობის გათვალისწინებით უპრიანი იქნებოდა სტუდენტების მოტივაციის და ინტერესის გაზრდა საერთაშორისო ლოგისტიკის მიმართულებით. ჩვენს მოსაზრებას დაეთანხმნენ დამსაქმებლებიც, რომლებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა კადრების საჭიროება, პირველად და მეორად საერთაშორისო ტრანსპორტირების სფეროებში.

სასურველია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შემდგომი გააქტიურება, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდანაც. ასევე ჩართვა საერთაშორისო გამოფენებშიც, რომელზეც წარმოდგენილია ინოვაციები ლოგისტიკის სფეროში. ამგვარი გამოფენები მეტწილად იმართება: გერმანიაში „EasyFairs Logistics & Distribution“, ასევე ჰოლანდიაში : „StocExpo Europe“ და სხვ.

სასურველია ბიუჯეტში გაიწეროს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების, საერთაშორისო გამოფენებზე და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯებიც.

ინფრასტრუქტურა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს საჭიროებს გაუმჯობესებას და ადაპტირებული გარემოს მოწყობას შშმ პირებისთვის, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსების პერმანენტულ განახლებას და ელექტრონული რესურსების გადამუშავებას და გამოცემას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს იმ დადებითი ეფექტებს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში, რაც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ლოგისტიკა“ პრაქტიკული კომპონენტის 27 კრედიტამდე ზრდამ გამოიწვია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ხორციელდება სამ გერმანულ უნივერსიტეტთან: ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ბრანდერბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ფლენსბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში. სტუ-ს და

ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა შესაძლოა მიიღოს ორი დიპლომი, რადგან წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი დონე აქვთ შესაძლებლობა მე-7 და მე-8 სემესტრში სწავლა გააგრძელონ ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში და აღნიშნული სემესტრების დასრულების შემდგომ მიიღონ აღნიშნული უნივერსიტეტის დიპლომი - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში. პროგრამა შემუშავებულია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების არსებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე.

პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ყველა ეტაპის აქტივობები. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები სტუმრობენ ვილდაუს უნივერსიტეტს, სადაც გადიან გადამზადებას სხვადასხვა საგნებში, ეცნობიან სწავლების და პრაქტიკის ახალ მეთოდებს, გადიან მომზადებას ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებაში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში. სტუ-ს და ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა შესაძლოა მიიღოს ორი დიპლომი, რადგან წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი დონე აქვთ შესაძლებლობა მე-7 და მე-8 სემესტრში სწავლა გააგრძელონ ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში და აღნიშნული სემესტრების დასრულების შემდგომ მიიღონ უნივერსიტეტის დიპლომი - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში.

პროგრამა შემუშავებულია ზემოთხსენებული უნივერსიტეტებში არსებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე. პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ყველა ეტაპის აქტივობები. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები სტუმრობენ ვილდაუს უნივერსიტეტს, სადაც გადიან გადამზადებას სხვადასხვა საგნებში, ეცნობიან სწავლების და პრაქტიკის ახალ მეთოდებს, გადიან მომზადებას ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებაში.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვან მიღწევად შესაძლოა ჩაითვალოს ლოგისტიკის ლაბორატორიები, რომლებიც სტუდენტებს პროცესის ცოცხლად აღქმის და დეტალიზაციის გათავისების შესაძლებლობას აძლევს.

სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი შესაძლებლობების რეალური ხელმისაწვდომობა, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხრივ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობას და საჭიროებას უსვამს ხაზს.

გერმანიის, როგორც ლოგისტიკის სფეროში ნოვატორი და მოწინავე ქვეყნის, გამოცდილების გაზიარება, მიღება, ათვისება და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანა, სწორად განათლებული კადრების გამოშვებით.

მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტორი რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აიღოს როგორც საქართველოს, ისე გერმანიის განათლების ხარისხის დამადასტურებელი ბაკალავრის დიპლომი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ მიზანს წარმოადგენს მოამზადოს ბაკალავრი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიტანს წვლილს: წარმოებაში ლოგისტიკის ძირითადი პრინციპების დანერგვაში; შიგასაწარმოო სატრანსპორტო პროცესების დაგეგმარებაში; ლოგისტიკური პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში; სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემების დაგეგმარებასა და ოპერირებაში; სასაწყობო სისტემების დაგეგმარებასა და პროექტის მენეჯმენტში; სასაწყობო და სადისტრიბუციო ცენტრების ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების შეგროვებასა და სიტუაციების ანალიზში; ინვესტიციებისა და საოპერაციო დანახარჯების კალკულაციაში; ლოგისტიკური პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაში წვლილის შეტანაზე. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან, ფაკულტეტის შემუშავებულ 3 წლიან სამოქმედო გეგმასთან, რომლის ფარგლებში იგეგმება ლოგისტიკის სფეროში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებში ცვლილებების კვალდაკვალ განვითარება, რაც მიმართული იქნება სტუდენტების სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ, პიროვნული და დასაქმების მაჩვენებლების ზრდისკენ. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შექმნილია დარგში როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ლოგისტიკის დეპარტამენტს, რომელიც შეიქმნა როგორც ცალკე სტრუქტურა 2015 წელს, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს 10 კომპანიასთან, სადაც სტუდენტები გადიან საწარმოო და სასწავლო პრაქტიკებს. აღნიშნული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ დეპარტამენტთან, როგორც პროგრამის სრულყოფის, ასევე სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ კომპანიებში სტუდენტები გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ახორციელებენ კვლევით სამუშაოებს თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით.

საქართველოს, როგორც რეგიონალურ ლოგისტიკურ ჰაბს და საერთაშორისო

სატრანსპორტო დერეფანს, გააჩნია დიდი პოტენციალი გახდეს ევროპასა და აზიას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო და ლოგისტიკური დერეფანი. ლოგისტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის დარგების ეფექტური მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რომლის წილი მშპ-ში 12 პროცენტს შეადგენს. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ისე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებსაც.

ღნიშნული პროგრამა ხორციელდება სამი გერმანული უნივერსიტეტის: ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის, ბრანდერბურგის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტის და ფლენსბურგის მეცნიერებათა უნივერსიტეტის მონაწილეობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც სტუ-ს ვებ გვერდზე, ასევე ლოგისტიკის დეპარტამენტის საიტზე, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. პროგრამის შესახებ ინფორმაციების მიწოდება ხდება სკოლებსა და კომპანიებში, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებში გამართულ შეხვედრებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php>; ○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება <http://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf>;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (7 წლიანი) და ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა (3-წლიანი) <http://gtu.ge/Stmm/Faculties/Structure/Three-Years-o-Action-and-Seven-Years-of-StrategicDevelopment-Plans.php>
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“ – <http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php>;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N01-05-04/180 დადგენილება;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია, მიზნები და ამოცანები <http://gtu.ge/Stmm/> ;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ხორციელდება სამ გერმანულ უნივერსიტეტთან: ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ბრანდერბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ფლენსბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში. სტუ-ს და ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა შესაძლოა მიიღოს ორი დიპლომი, რადგან წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი დონე აქვთ შესაძლებლობა მე-7 და მე-8 სემესტრში სწავლა გააგრძელონ ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში და აღნიშნული სემესტრების დასრულების შემდგომ მიიღონ აღნიშნული უნივერსიტეტის დიპლომი - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში. პროგრამა შემუშავებულია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების არსებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და გახორციელების ყველა ეტაპის აქტივობები. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები სტუმრობენ ვილდაუს უნივერსიტეტს, სადაც გადიან გადამზადებას სხვადასხვა საგნებში, ეცნობიან სწავლების და პრაქტიკის ახალ მეთოდებს, გადიან მომზადებას ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებაში. პროგრამას გააჩნია საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც მონაწილეობს ქართული მხრიდან ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასევე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, გერმანული მხრიდან კი პროექტის მენეჯერი, ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. საკოორდინაციო საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ და განიხილავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის საკითხები, პრაქტიკის ორგანიზება, ურთიერთთანამშრომლობა კვლევით პროექტებში.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან განსაზღვრულია შესაბამისობის ცხრილით.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ლოგისტიკურ მომსახურეობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სისტემებს, წარმოაჩენს სტატისტიკური აღრიცხვის ელემენტებს, სტატისტიკური მონაცემების მათემატიკური დამუშავების და ამ ინფორმაციის მენეჯმენტში გამოყენების უახლეს ასპექტებს; აკავშირებს ლოგისტიკური სისტემების აპრობირებულ და პრაქტიკაში გამოყენებულ ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდებს კომპანიის კონკრეტული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის; განიხილავს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელების ტექნოლოგიებს; ავლენს წარმოებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკის, ასევე მომსახურეობის სხვადასხვა სფეროებში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და იყენებს შესაბამისი ტექნოლოგიების იმპლემენტაციის ხერხებს; ჩამოთვლის ტვირთების, ტვირთის დამუშავებისა და სასაწყობო სისტემების, ინტერმოდალური ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ლოგისტიკაში სამართლებრივი საკითხების მიმართულებით ლოგისტიკის სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს.

პრაქტიკაში სამუშაო მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, გამოიყენებს ლოგისტიკაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების რესურსებს; აგროვებს ლოგისტიკური სისტემებისა და ქსელების, ლოგისტიკური ოპერაციების წარმოებისა და მართვის, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და ლოგისტიკის კონტროლინგის სისტემების კომპლექსური საკითხების შესახებ მონაცემებს; აანალიზებს ლოგისტიკის სფეროში არსებული სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, ამზადებს წერილობით ანგარიშს მიღებული შედეგების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ქართულ და გერმანულ ენებზე; იყენებს ლოგისტიკის სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების შესაბამისად.

თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს. ხელს უწყობს საინჟინრო ლოგისტიკის სფეროში წარმოების პროცესების უსაფრთხოდ წარმართვას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას 0719.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების (პირდაპირი) შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცას (ცხრილს). რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, ლოგისტიკის სფეროს სპეციფიკის შესაბამისად. ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კურსებში სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 1; სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 2; საწარმოს რესურსების დაგეგმვა 1; საწარმოს რესურსების დაგეგმვა 2. თითოეულ სილაბუსში გაწერილია სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის შესაბამის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

აღნიშნულ პროცესში ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, შესაბამისი დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხის წარდგენა. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების საკითხი ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის: აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა ჩართულობას. პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული თითოეული საკითხის შეთანხმება და გადაწყვეტა ხორციელდება დეპარტამენტის/ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ. სასწავლო პროცესის და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ასევე სტუ-ს აკადემიური პერსონალისაგან შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია. ფაკულტეტზე შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომელთა საშუალებით ხდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით მუდმივად ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და ეწყობა ჯგუფური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტებთან ერთად

განიხილება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები და მოსაზრებების შეჯერების შესაბამისად, იგეგმება სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებული ცვლილებების ინიცირება. ამასთან, პროგრამის განვითარების პროცესში ინტენსიურად არიან ჩართული დამსაქმებლები, მათი მოთხოვნების და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების გათვალისწინება პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში. ფაკულტეტზე გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება დამსაქმებელთა და დარგის სპეციალისტთა სამუშაო შეხვედრები, შეხვედრის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, ასევე დამსაქმებელთა ინიციატივების და მოთხოვნების შეჯამება, რომლის საფუძველზე იგეგმება შესაბამის პროგრამებში ცვლილებების განხორციელება. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მსგავსი შეხვედრა რამოდენიმეჯერ განხორციელდა, რამაც დამსაქმებელთა მიერ გამოთქმული რჩევების შესაბამისად, უზრუნველყო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში დამსაქმებელთა მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა.

პროგრამის სწავლის შედეგისათვის მთავარი სამიზნე ნიშნულია DAAD-ის ეგიდით დასკვნითი გამოცდის ჩაბარება და გერმანიაში ვილდაუს ტექნიკური გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტში მეოთხე კურსიდან სწავლის გაგრძელება, პრაქტიკის გავლა, სადიპლომო ნაშრომის დაცვა და გერმანული დიპლომის მიღება. აღნიშნულის მისაღწევად დეპარტამენტის წარმომადგენლები სტუდენტებთან ერთად პერიოდულად განიხილავენ მათი სწავლების შედეგებს, შეფასებებს, აკეთებენ დასკვნებს, სტუდენტებს აძლევენ რჩევებს და იხილავენ სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;

o სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

o სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები;

o პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○ შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და შეფასება

საბაკალავრო პროგრამაზე „ლოგისტიკა“ სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე მესამე სემესტრიდან სწავლება მიმდინარეობს გერმანულ ენაზე და სპეციალობის სასწავლო კურსები ხორციელდება საქართველოში გერმანული და ქართველი ლექტორების მიერ. ამიტომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაშვების წინაპირობებში მოთხოვნილია ეროვნულ გამოცდებზე გერმანული ენის ჩაბარება. ასევე 2020 წლიდან პროგრამაზე შემსვლელები სავალდებულო-არჩევით მესამე საგნად ჩააბარებენ მათემატიკას.

მობილობით პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება ექნება სტუდენტს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოურ ენად ჩააბარებს გერმანული ენას.

უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მან დამატებით უნდა წარმოადგინოს გერმანული ენის (A2) ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოგისტიკა“ დაშვების წინაპირობები და აპლიკანტების მიერ გასავლელი პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ასევე ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე პროგრამის შინაარსობრივ მხარესაც. უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებ გვერდზე მითითებულა საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის

№133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php; ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”; ○ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და ეფუძნება ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებასა და ამ მიმართულებით დღეისათვის არსებულ უახლეს ტექნოლოგიებს. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობის რეგლამენტს. აღნიშნული წესის მიხედვით ხდება აგრეთვე პროგრამის შექმნის და სტრუქტურირების საკითხებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომისიების შექმნა და მუშაობის წარმართვა.

საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ არქიტექტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დალაგებულია ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად. შემადგენელი კურსების სილაბუსების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საინჟინრო ლოგისტიკის ბაკალავრის (0719.1.8) კვალიფიკაცია, რომელიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (12.04.2019წ) მიხედვით არ არის კლასიფიცირებული სწავლის ვიწრო სფეროსათვის (071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე) კლასიფიკატორით დადგენილ არცერთ დეტალურ სფეროში, მაგრამ მას საკმაოდ მდგრადი კავშირი აქვს აღნიშნულ ვიწრო სფეროსთან და მისსავე არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში (0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე) გაწერილ სწავლის სხვა ისეთ დეტალურ სფეროებთან როგორებიცაა: 0719.1.6. აგროინჟინერია, 0719.1.7. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, 0719.2.1. ელექტრომექანიკის ინჟინერია და სხვა. საბაკალავრო პროგრამის „ლოგისტიკა“ შინაარსი ასახავს საინჟინრო-რეკონსტრუქციულ სისტემების ტექნოლოგიების ორგანიზაციის პროცესებში ლოგიტიკის პრინციპების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს და სასწავლო კურსები თავიანთი მოცულობით, შინაარსობრივი სიღრმით, და სწავლის შედეგებით პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეექვსე დონის (ბაკალავრიატი) აღმწერის მოთხოვნებს. ამრიგად, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სფეროს შესაბამისი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარის გამომუშავებას და გადაცემული ცოდნის ზოგიერთი უახლესი ასპექტის ათვისებას, რაც სავსებით შეესაბამება ბაკალავრიატის დონის სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსში სრული დოზით და მარტივად გასაგები ენითაა აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე - პროგრამაზე დაშვების საკითხებთან დაკავშირებით აპლიკანტების დამატებითი მომართვიანობა ადმინისტრაციულ ან აკადემიურ პერსონალთან პრაქტიკულად არ არსებობს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული:

- ა) სწავლების პირველი წელი ეთმობა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს, ზოგადტექნიკურ საგნებს და გერმანულ ენას;
- ბ) მეორე კურსზე ისწავლება სპეციალობის საგნები, პრაქტიკული კომპონენტები და

გერმანული ენა;

გ) მესამე კურსზე სასწავლო პროცესში შემოდის სპეციალობის საგნები და ტექნიკური გერმანული;

დ) მეოთხე დამასრულებელი კურსი ეთმობა სპეციალობის საგნებს (მათ შორის გერმანულ ენაზე), არჩევით და თავისუფალ კურსებს, საწარმოო პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას.

შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური (მაგალითად, „კომპიუტერულ და საინფორმაციო ტექნოლოგიებს ლოგისტიკაში“ წინ უსწრებს კურსი - „საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები“; კურსს „საბუღალტრო აღრიცხვა“ – „ბიზნესის საფუძვლები“ და ა.შ.);

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს არჩევითობის შესაძლებლობას არჩევითი კურსების და თავისუფალი კომპონენტების ბლოკში შემავალი კურსების ფარგლებში;

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სასწავლო კურსები – 193 ECTS კრედიტი;

პრაქტიკა – 27 ECTS კრედიტის ოდენობით;

საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 10 ECTS კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები – 4 ECTS კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები- 6 ECTS კრედიტი.

სულ სავალდებულო 240 კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსების დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშავოს პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტის დანიშნულებაა სტუდენტს გააცნოს მომავალი პროფესიული საქმიანობის გარემო, მისცეს საშუალება შეაჯამოს უნივერსიტეტში მიღებული განათლება, გაუძლიეროს პრაქტიკული უნარები, შეაგროვოს მასალები საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად.

საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს გამოუმუშავებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანა, წარმოადგინოს ანგარიში როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის სახით, ჩაერთოს დისკუსიაში და შეძლოს არგუმენტირებულად დაასაბუთოს მიღებული შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსები ორი სახისაა:

1. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სპეციალობაში გაიღრმავოს ცოდნა და გამოიმუშავოს უნარები საკუთარი ინტერესების შესაბამისად და მოიცავს – 4 ECTS კრედიტს.

2. თავისუფალი კომპონენტები, რომელიც არ არის დაკავშირებული სპეციალობასთან და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სფეროში შეიძინოს ცოდნა და შესაბამისი უნარები და მოიცავს – 6 ECTS კრედიტს.

შესაბამისობა ეროვნულ კვალიფიკაციო ჩარჩოსთან:

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე, 0719

ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული, 0719.1.8. საინჟინრო ლოგისტიკა.

მოდულიზირებული პროგრამის შემუშავებაში ჩართულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ვილდაუს ტექნიკური უნივერსიტეტის

(გერმანია) აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი მიმდინარე პროგრამაზე მოსწავლე სტუდენტები კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები . დასაქმების სფეროს წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში ერთხმად გამოხატეს კმაყოფილება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის 27 ECTS კრედიტამდე გაზრდის გამო და დადებითად შეაფასეს სტუდენტების ჩართულობით კომპანიებში განხორციელებული პროექტები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შესაბამისად ფაკულტეტის ვებ გვერდზე (<http://gtu.edu.ge/Stmm/Edu-Programs/Bachelor.php>) საჯაროდ და ყველასათვის ხელმისაწვდომად არის განთავსებული ინფორმაცია მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის მიხედვით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო პროგრამასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დამსაქმებლებმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში ერთხმად გამოხატეს კმაყოფილება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის 27 ECTS კრედიტამდე გაზრდისთან დაკავშირებით.
- პრაქტიკული კომპონენტის გაზრდილი მოცულობა

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით. მაგალითად კურსის „სასაწყობო სისტემების დაგეგმარება 1“-ის ერთ-ერთი შედეგია - „ჩამოთვლის სასაწყობო სისტემების ინფრასტრუქტურის დაგეგმარების მეთოდებს და საწყობის დაგეგმარების ფაზებს“, რომელიც სრულ შესაბამისობაში მოდის პროგრამაში ასახულ ცოდნის და გაცნობიერების №3 შედეგთან - „განიხილავს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასა და ინპლემენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ტექნოლოგიებს“.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ კვალიფიკაციათა მეექვსე (ბაკალავრიატის) დონეს. მაგალითად: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონე ითხოვს განზოგადოებულ სწავლის შედეგს - „სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით“ ; სილაბუსი საგანში ტელემატიკა ლოგისტიკაში კი გადის შედეგზე: „მიიღებს ინფორმაციებს, დაამუშავებს და გადააგზავნის მათ მოთხოვნის შესაბამისად. გამოიყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო, საიდენტიფიკაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს“, რაც შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ საბაკალავრო კვალიფიკაციის მეექვსე დონის მოთხოვნებთან.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს.

ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. მაგალითად: 5 კრედიტიანი საგნისათვის საათების განაწილება შეიძლება იყოს: ლექცია - 30სთ; პრაქტიკული - 30სთ და დამოუკიდებელი- 62 სთ. (ტელემატიკა ლოგისტიკაში, მონაცემთა ბაზები და სხვა), ან ლექცია - 0 სთ; პრაქტიკული - 60 სთ და დამოუკიდებელი 62 სთ. (გერმანული, პრაქტიკული პროექტი და სხვა), რაც სრულიად ლოგიკურია, თანხვედრაშია კურსის შინაარსთან და სტუდენტისათვის აადვილებს შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ასევე ადექვატურია თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ცალკეულ სილაბუსებში გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე სწავლა-სწავლების მეთოდი, რომლებიც განმარტებულია პროგრამის კურიკულუმში (დისკუსია/დებატი,

ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ვერბალური მეთოდი და ა.შ. სულ 16 მეთოდი). სილაბუსის ავტორი, სარგებლობს რა აკადემიური თავისუფლების პრინციპებით, სწავლა-სწავლების მეთოდს არჩევს კურსის შინაარსის და სტუდენტის მიერ შედეგების მისაღწევი ეფექტური ხერხების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევებში პედაგოგი კურსის შინაარსის და შედეგების გათვალისწინებით იყენებს სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამის შემდეგ აქტივობებს: დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა.

თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება: მიმდინარე აქტივობით, შუასემესტრული გამოცდით და დასკვნითი გამოცდით.

მიმდინარე აქტივობა ითვალისწინებს პრაქტიკული დავალების შესრულებას (ფასდება მაქსიმალური 3 ქულით); ქვიზის შესრულებას (ფასდება მაქსიმალური 2 ქულით და პრეზენტაციას - ფასდება მაქსიმალური 6 ქულით).

შუასემესტრული გამოცდა ითვალისწინებს ღია კითხვებით შედგენილი ტესტის შეფასებას (მაქსიმალური 1,2 ქულა) და პრაქტიკული დავალების შესრულებას (მაქსიმალური 3 ქულა).

დასკვნითი გამოცდა ითვალისწინებს საგამოცდო დავალების შეფასებას (მაქსიმალური 5 ქულა).

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ლოგისტიკის დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ძირითადად უცხოენოვანია (გერმანული). უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პროცესში მოძიებული დარგის უახლესი უცხოური ლიტერატურა ჩაიდო სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით. სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით აგრეთვე გვხვდება ლოგისტიკის სფეროსადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმების მასალებში და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიები. აღნიშნული უცხოური ლიტერატურის მიხედვით აკადემიური პერსონალის ჯგუფის მიერ იქმნება დარგობრივი სალექციო კურსები, რომლებიც ორენტირებულნი არიან დარგის უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფენ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და საწყისი კვლევითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკული კომპონენტი, პროექტები და საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც გერმანელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, ასევე გერმანელი სტუდენტების მობილობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტში. სტუ-ს და ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა შესაძლოა მიიღოს ორი დიპლომი, რადგან წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი დონე აქვთ შესაძლებლობა მე-7 და მე-8 სემესტრში სწავლა გააგრძელონ ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში და აღნიშნული სემესტრების დასრულების შემდგომ მიიღონ უნივერსიტეტის დიპლომი - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში. პროგრამა შემუშავებულია ზემოთხსენებული უნივერსიტეტებში არსებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე. პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ყველა ეტაპის აქტივობები. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები სტუმრობენ ვილდაუს უნივერსიტეტს, სადაც გადიან გადამზადებას სხვადასხვა საგნებში, ეცნობიან სწავლების და პრაქტიკის ახალ მეთოდებს, გადიან მომზადებას ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებაში. პროგრამას გააჩნია	

საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც მონაწილეობს ქართული მხარიდან ლოგისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასევე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, გერმანული მხრიდან კი პროექტის მენეჯერი, ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. საკოორდინაციო საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ და განიხილავს ცვლილებებს სასწავლო პროგრამაში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის საკითხებს, პრაქტიკის ორგანიზებას, ურთიერთანამშრომლობას კვლევით პროექტებში.

პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები კომპანიებთან შეთანხმებით და პრაქტიკის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ირჩევენ პრაქტიკის თემას, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკის საბაზო კომპანიაში კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე. აღნიშნული თემატიკების გამოსავლენად ლოგისტიკის დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ შეხვედრებს კომპანიებთან მინიმუმ წელიწადში ორჯერ (მაგალითად: თანდართული დეპარტამენტის თანამშრომლების და დამსაქმებლების ერთობლივი სხდომის ოქმი №33, 2019 წელი). პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს ჰყავთ ხელმძღვანელები როგორც ლოგისტიკის დეპარტამენტიდან ასევე კომპანიის მხრიდან. პრაქტიკის პროექტის ფარგლებში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში. ისინი უზრუნველყოფენ მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, საერთაშორისო ლიტერატურის და დარგში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვას, კომპანიაში პრობლემის იდენტიფიცირებას და ანალიზს, შესაძლო გადაწყვეტილებების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები პარტიორი გერმანელი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან. ლოგისტიკის დეპარტამენტი ამუშავებს აკადემიურ და სამართლებრივ გზებს იმისათვის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების შემუშავებაში ჩართონ გერმანელი სტუდენტებიც, რომლების სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩამოდიან საქართველოში ურთიერთგაცვლითი სასწავლო პროგრამით.

პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტები წარმოადგენენ მოკლე ანგარიშს განხორციელებული პროექტის შესახებ. გადაწყვეტილებების დემონსტრირებას სტუდენტები ახდენენ პრეზენტაციის მეშვეობით კომპანიის და დეპარტამენტის წარმომადგენლების წინაშე. აღნიშნულ პრეზენტაციებს როგორც წესი, ესწრებიან როგორც ლოგისტიკის პროგრამის სხვადასხვა კურსის სტუდენტები, ასევე მოწვეული სტუმრები კომპანიებიდან, დარგის ექსპერტები და სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან.

გარდა პრაქტიკული სწავლებისა ლოგისტიკის პროგრამაში აქტიურად მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები როგორც კერძო სექტორთან, ასევე ლოგისტიკის დეპარტამენტის კვლევითი პროექტების ფარგლებში. ამის კარგი მაგალითია კვლევითი პროექტი „ჰაიდელბერგ ცემენტ საქართველოსთან“, რომელიც ეხება კომპანიის ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციას. პროექტში მონაწილეობას იღებს მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ შერეულ ჯგუფებში. პროექტს ხელმძღვანელობს ლოგისტიკის დეპარტამენტის პროფესორი გერმანელ კოლეგასთან ერთად. კვლევითი პროექტების დემონსტრირება ხდება სტუდენტების მიერ პროექტის დასრულებისას. გამარჯვებული ჯგუფი ჯილდოვდება კომპანიის მიერ. პროექტის ფარგლებში სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე აწვდიან ანალიზისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს და იმპლაცებენ შეძენილ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში (აღნიშნულ საკითხზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში ვრცლად ისაუბრა და დადებითი შეფასება მისცა სს „ჰაიდელბერგცემენტის“ წარმომადგენელმა

პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ იმ კვლევით პროექტებში, რომელსაც ლოგისტიკის დეპარტამენტი ახორციელებს. მაგალითად, Erasmus+-ის ფარგლებში ლოგისტიკის დეპარტამენტი იტალიურ და გერმანულ

უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით (University of Rome Tor Vergata, Sapienza University of Rome, Hochschule Wismar University of Applied Sciences Technology, Business and Design) აყალიბებს ტრანსპორტის მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორიას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კვლევით პროექტებზე მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ თემატიკასთან: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა, ნაკადების დათვლების განხორციელება და მოანაცემთა ბაზის შექმნა, სატრანსპორტო ნაკადების სცენარების სიმულაციური მეთოდების განვითარება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექტნიკურ-ეკონომიკური ანალიზები დ.ა.შ.

ასევე დღევანდელი აქტუალური პრობლემების კრიტიკულ ანალიზს ეხება პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები (მაგ. „ნარჩენების მართვის ლოგისტიკური პროცესები“, „რძის წარმოების ლოგისტიკური ჯაჭვი“ და სხვ.).

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულებები (მაგ. დანართი: ხელშეკრულება №1 14.03 2018, შპს „CJ ICM LOGISTCIS“-თან), რომელშიც შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულია პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია.
- დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა ის დადებითი ეფექტები, რასაც პროგრამაში „ლოგისტიკა“ პრაქტიკული კომპონენტის 27 კრედიტამდე გაზრდა იწვევს სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ყოველ სასწავლო კურსში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური განათლების საფეხურს (ბაკალავრიატი), დიფერენცირებულია (არის მოქნილი) კურსის შინაარსის მიხედვით, ორიენტირებულია კურსის სწავლის შედეგებზე და თავისუფლად უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ცნობილია, რომ სწავლების მეთოდების წარმატებული გამოყენების წინაპირობა სტუდენტის მიერ სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა. ამ მიზნით პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სწავლების მეთოდის შერჩევისას პირველ ეტაპზე სილაბუსში განსაზღვრავს კურსის შესწავლის მიზანს და მოსალოდნელი შედეგს – რა უნდა იცოდეს კურსდამთავრებულმა და რის გაკეთებას შეძლებს ის კურსის ათვისების შემდეგ. კურსის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას კი პროფესორი ითვალისწინებს, რომ სტუდენტს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციისა, პრეზენტაციისა, თანამშრომლობისა და სხვ.). სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადეკვატურად შერჩეული სწავლების მეთოდები ეხმარება.

„ლოგისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას და არა მზა ცოდნის მიღებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.

სტუ-ში სწავლების შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის, ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკული სწავლება, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. სწავლება სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს

სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სწავლება სწავლის და კვლევის პროცესში მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. პროფესორი შეიძლება იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამოდენიმე მეთოდს ან ნემისმიერ სხვა მეთოდს და აქტივობას კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის სფეროში ცოდნის შეძენის და უნარების გამომუშავების მიზნით, პროგრამის შემადგენელი ცალკეული კომპონენტი სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ სწავლის მეთოდებს და აქტივობებს:

ა) ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრებას;

ბ) დამოუკიდებელ მუშაობას კომპიუტერულ კლასებში და ბიბლიოთეკებში;

გ) სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;

დ) შუალედური და შემაჯამებელი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (პრაქტიკული პროექტი, მოხსენება კონფერენციაზე, საპატენტო განაცხადი, საბაკალავრო ნაშრომი) მუშაობას;

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და შედეგების გამოქვეყნებას.

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. უვითარებს სტუდენტს მეტაკოგნიტური სტრატეგიის უნარს, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება.

ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვა, რაც საკმაოდ დოზით არის გამოყენებული პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსებში.

სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს წელიწადში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ გვერდი (სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები) <http://gtu.ge/quality/Forms-And-Recomendations/Recomendations.php>

o ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“; o სასწავლო კურსის სილაბუსები. o გამოკითხვის შედეგები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ში მოქმედებს საკანონმდებლო დოკუმენტებში გაწერილი პროცედურების შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

თავისი შინაარსის მიხედვით და სპეციფიკის გათვალისწინებით კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები სხვადასხვაა, ასე მაგალითად: კურსი „გერმანული ლოგისტიკისათვის 3“ მიმდინარე აქტივობა ფასდება - ქვიზით და ღია ტესტებით; შუალედური და დასკვნითი გამოცდა - დახურული ტესტებით. ხოლო კურსი „საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები“ მიმდინარე აქტივობა ფასდება პრაქტიკული დავალებით და პრეზენტაციით; შუალედური გამოცდა - ღია კითხვებიანი ტესტით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - დახურულ კითხვებიანი ტესტით. სილაბუსებში ასევე ნათლადაა გაწერილი თითოეული შეფასების კრიტერიუმისათვის ქულების მინიჭების პროცედურები, რაც სტუდენტებისათვის წინასწარაა ცნობილი და ამავდროულად თვითშეფასების საშუალებასაც წარმოადგენს.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქცია, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს დისტანციური კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ; სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ; ფაკულტეტზე მოქმედი წესის შესაბამისად სტუდენტს აქვს ნებისმიერ სასწავლო კურსში მიღებული თავისი შეფასების ადმინისტრაციული გასაჩივრების უფლება; შეფასებაში უმნიშვნელო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაშიც კი დავა წყდება სტუდენტის სასარგებლოდ.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, რომელიც თან ერთვის მათ პირად ინფორმაციას.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ გარკვეულ რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;

o სასწავლო კურსის სილაბუსები;

o შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები

[http://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20critteries .pdf](http://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20critteries.pdf) ;

o სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №2691;

o ელექტრონული პორტალი <https://leqtori.gtu.ge> ;

o სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
<http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenileba> N2691.pdf

o სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;

o ექსპრტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის "საინჟინრო ლოგისტიკის" პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, რაც სტუდენტებისთვის იძლევა ასევე პრაქტიკის დიდ გამოცდილებას და ამ ფართო არეალს უზრუნველყოფენ ის მსხვილი დამსაქმებელი კომპანიები რომლებსაც მემორანდუმი აქვთ უმაღლეს სასწავლებელთან და არიან დაინტერესებული ზემოთ ხსენებული პროგრამის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, მობილობაში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში, რაც მაღალ ინტერნაციონალიზაციაზე მეტყველებს. ინტერვიუს ფარგლებში, ჩვენ გავესაუბრეთ სტუდენტებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი უკვე დასაქმებული იყო და სამსახურებრივი საათების გამო მოგვიწია ინტერნეტ სივრცით გასაუბრება, ხოლო მეორე სტუდენტი, რომელმაც 3 თვიანი პრაქტიკა გაიარა გერმანიაში, ერთ-ერთი ფოსტის ლოგისტიკურ სამსახურში.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების ჩართულობა ფასდება ყოველწლიური მათი გამოკითხვით, სადაც მათ სრული უფლება აქვთ გამოხატონ ინდივიდუალური და ობიექტური მოსაზრება, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის სტრუქტურის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

სტუდენტების კონსულტაციებზე ჩართულები არიან როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე დამსაქმებლები. სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის უფრო მარტივი ურთიერთკავშირისთვის, სასწავლებელი მუშაობს ახალი ბაზის შექმნაზე, რომელიც იქნება სტუდენტების პორტფოლიოების ერთიანი ბაზა, რაც უფრო გაამარტივებს სტუდენტის დასაქმებას ან/და დამსაქმებლის მიერ წინასწარი ინფორმაციის მოპოვებას მომავალი თანამშრომლის პიროვნულ და პროფესიულ უნარჩვევების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables-ც (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს უამრავი შესაძლებლობა და ფუნქციები რაც უფრო მეტად უმარტივებს სტუდენტებს ინფორმაციის მიღებაში და მათი სწავლის პროცესის დაგეგმარებაში. რაც სწავლის/სწავლების პროცესის გამჭვირვალობის ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია:

1. მაღალი დონის ტექნოლოგიებით აღჭურვილი (როგორცაა 3D ტექნოლოგია) ლოგისტიკის ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია პრაქტიკული სამუშაოებისთვის.
2. ინფორმატიკის ლაბორატორია - სადაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ელექტრონულად ჩატვირთული სილაბუსები და ლიტერატურა.
3. სიმულატორის ლაბორატორია - სადაც მკაფიოდაა ნაჩვენები სარკინიგზო მიმოსვლის მაკეტი და სიმულატორი.
4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ბიბლიოთეკა - სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შესაბამისი ლიტერატურის მოძიება/გამოყენება.
5. სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკა ადმინისტრაციულ კორპუსში - რომელიც აღჭურვილია 100 მდე კომპიუტერით, ფართო მამულების ლიტერატურით, როგორც ელექტრონული ასევე CD-ის სახით. ჩვენს მიერ დათვალიერებისას აღმოჩნდა მცირე ელექტრონული ხარვეზი ლიტერატურის მოძიებასთან დაკავშირებით, რომლის

გამართულობაც მოხერხდა ჩვენი ვიზიტის განმავლობაში.

სტუდენტებისთვის ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

ერთ-ერთ კურსდამთავრებულთან ინტერვიუს დროს მივიღეთ ინფორმაცია რომ მან გაიარა კონსულტაცია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებად სტუ-ის აკადემიურ პერსონალთან სწავლის დასრულების შემდეგაც, რაც მეტყველებს სტუდენტების/კურსდამთავრებულების მასწავლებლებთან/პროფესორებთან მჭიდრო ურთიერთობაზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის პერსონალისგან და მოწვეულო პროფესორებისგან. ადმინისტრაციული პერსონალი მზადაა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს სტუდენტებს ყველა საჭირო საშუალებით, იქნება ეს ინფორმაციის მოძიება თუ სხვაგვარი ხელშეწყობა სწავლის პროცესთან და გრაფიკთან ადაპტირებისთვის. აღსანიშნავია, რომ პერსონალი ერგება სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში. გასაუბრების დროს ერთ ერთმა კურსდამთავრებულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ სამსახურის გრაფიკის გამო კრედიტების საჭირო რაოდენობის მისაღებად სჭირდებოდა დამატებითი საათები და პროფესორმა გამოყო მისთვის დამატებითი დრო და პრობლემის გადაჭრაში სტუდენტი გრძნობდა მხარდაჭერას და მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ფაკულტეტის ვებგვერდი <http://gtu.ge/stmm/>

2. ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა
[http://](http://gtu.ge) <https://leqtori.gtu.ge>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტორი რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აიღოს როგორც საქართველოს, ისე გერმანიის განათლების ხარისხის დამადასტურებელი ბაკალავრის დიპლომი.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათი დატვირთვა და მათზე დაკისრებული უფლება მოვალეობები ადეკვატურია პროგრამაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის და

მათთვის დასახული მიზნების მიღწევისათვის. აკადემიური პერსონალი მოიცავს კვალიფიკაციის მქონე 33 პირს, მათგან : 14 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 10 მოწვეული პირი, მათ შორის 7 უცხოელი პროფესორი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობით. რომელთა გაცნობა შესაძლებელია ელექტრონულადაც, მისამართზე (<http://science.gtu.ge/>). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათი დატვირთვა და მათზე დაკისრებული უფლება მოვალეობები ადეკვატურია პროგრამაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის და მათთვის დასახული მიზნების მიღწევისათვის. პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებიც, როგორც ინტერვიუზე მათთან გასაუბრების დროს დაზუსტდა, წელიწადში ორჯერ გადიან დამატებით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გერმანიაში, მემორანდუმის ფარგლებში მონაწილე უნივერსიტეტებში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს პერსონალთა სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დატვირთვას მათი კომპეტენციის ფარგლებში. ყველა კომპონენტი ასახულია „სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციაში“.

პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას გაითვალისწინება სტუდენტთა არსებული და მომავალი რაოდენობა. ინტერვიუზე გამოირკვა რომ, ქართულ რეალობაში ენის ბარიერის გამო ბუნებრივად იცხრილება დიდი რაოდენობა და შემდეგ უკვე რაციონალურად ხდება პერსონალის ოდენობის მორგება სტუდენტებზე.

მოწვეული პერსონალი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სტუდენტთა მოტივაციასა და ზრდაზე. გასაუბრების დროს ცხადი გახდა, რომ მათი ჩართულობა პროგრამაში არის სიღრმისეული და მრავალმხრივი. მაგალითად, ერთ-ერთმა მოწვეულმა პროფესორმა აღნიშნა, რომ მათი მუშაობის მიზანი არის პროცესში, სტუდენტების იმპოვიზაციის უნარის /კრეატივის გაღვივება და წინ წამოწევა. თავის მხრივ, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, რომელთანაც გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები გადიან სტაჟირებას დასაქმების პერსპექტივით, თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ სტუდენტები სწორად და სწრაფად პოულობენ პრობლემურ საკითხებს და ეძებენ გამოსავალს არასტანდარტული გზით. ასევე აღინიშნა, რომ სწრაფად ითვისებენ ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, რომელთა ათვისებაც მათგან განსხვავებული განათლების მქონე, მაგრამ აღნიშნულ სფეროში მომუშავე ადამიანებს უჭირთ.

პროგრამის ხელმძღვანელი, უშუალოდ მონაწილეობს სტუდენტებისთვის დასახული მიზნების მისაღწევად ეფექტური გარემოს შექმნაში. მასთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ის უშუალოდ მონაწილეობს ყველა შეთანხმებაში, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ მაქსიმალური შესაძლებლობები. გასაუბრების მომენტში ის იმყოფებოდა გერმანიაში, შეხვედრაზე, სადაც, ასევე იყო აღნიშნული პროგრამის წარმდგენი და მისი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ახალი მატერიალური ბაზების შექმნა და გაცვლითი პროგრამის გაფართოება. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პირადად უკავშირდება დამსაქმებლებს და მათი მოძიება ხდება მისი სიღრმისეული ჩართულობით. ეს გარემოება დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ სტუ-ის აკადემიური

საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება; ○ სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის №253 დადგენილება); ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სილაბუსების მიხედვით, გამოიკვეთა მეტი სპეციალიზაცია სასაწყობე/მომარაგების ლოგისტიკის მიმართულებით, ვიდრე საერთაშორისო ლოგისტიკის. მაგალითად, სულ ცოტა 5 სილაბუსი მოიცავს სასაწყობე ლოგისტიკას და მათან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად, როგორიცაა წარმოების ლოგისტიკა. ერთის მხრივ, ლოკალურ ბაზარზე ნაშთების და მარაგების მიმართ აქტიური დამოკიდებულების ფონზე გასაგებია ეს მისწრაფება (სავარაუდოდ დასაქმების მაღალი მოლოდინის გამო) თუმცა, თავად პროგრამის საერთაშორისო ბუნებიდან გამომდინარე, ასევე აღნიშნული სფეროს მრავალმხრივობის და ინტერნაციონალურობის გათვალისწინებით უპრიანი იქნებოდა სტუდენტების მოტივაციის და ინტერესის გაზრდა საერთაშორისო ლოგისტიკის მიმართულებით. ჩვენს მოსაზრებას დაეთანხმნენ დამსაქმებლებიც, რომლებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა კადრების საჭიროება, პირველად და მეორად საერთაშორისო ტრანსპორტირების სფეროებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს : ○ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი შესაძლებლობების რეალური ხელმისაწვდომობა, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხრივ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობას და საჭიროებას უსვამს ხაზს. ○ გერმანიის, როგორც ლოგისტიკის სფეროში ნოვატორი და მოწინავე ქვეყნის, გამოცდილების გაზიარება, მიღება, ათვისება და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანა, სწორად განათლებული კადრების გამოშვებით.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

როგორც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტი, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ლოგისტიკის სფეროში აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ზრდას და ადაპტირებას სიახლეებთან. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. ასევე ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, სტუ-ს რექტორის ბრძანება (28.03.2016 № 42) „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“, რომლებსაც ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება.

უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი DAAD-ის ეგიდით ესწრება ყოველწლიურ ტრენინგებს გერმანიაში (ერთდროულად 4/5 პროფესორი).

გარდა უნივერსიტეტის დადგენილი წესისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება სტუდენტების მიერ. სტუდენტებთან გასაუბრებისას, მათ ხაზი გაუსვეს, რომ პერსონალსა და მათ შორის უკუკავშირი პერიოდულად შეფასებების სახით ხორციელდება. მაგალითად: რა მოსწონს სტუდენტს და ან პროფესორს ურთიერთთან მიმართებაში, შეეხება ეს პროფესიონალიზმს, ეთიკურ, ან სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა ორმხრივად მიმდინარეობს სასურველის მისაღებად საჭირო უნარ-ჩვევების გამოვლენის, გამომუშავების და შეფასების მიზნით.

პროგრამაში ჩართული პროფესორები პერიოდულად აქვეყნებენ ნაშრომებს და ჩართული არიან კვლევებში, აღნიშნული მეტყველებს მათ დინამიურობასა და პროფესიულ წინსვლაზე, სასწავლო პროცესის პარალელურად, რადგან სწავლება მიმდინარეობს გერმანულ ენაზე, პროფესურა დაკავებულია უახლესი სახელმძღვანელოების მთარგმნელობითი საქმიანობით, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს მიიღონ სფეროს უახლესი და საერთაშორისო მიღწევების შესახებ ინფორმაცია.

ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, შესაბამისად, მიმართულებით შეიმჩნევა დინამიურობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • ელექტრონული პორტალი CV.ONLINE.GE;
რეკომენდაციები: რჩევები : სასურველია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შემდგომი გააქტიურება, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მხრიდანაც. ასევე ჩართვა საერთაშორისო გამოფენებშიც, რომელზეც წარმოდგენილია ინოვაციები ლოგისტიკის სფეროში. ამგვარი გამოფენები მეტწილად იმართება: გერმანიაში „ EasyFairs Logistics & Distribution“, ასევე ჰოლანდიაში : „StocExpo Europe“ და სხვ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გამოყოფილი აქვს 2 კომპიუტერული ცენტრი, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მაგალითად სასაწყობე ლოგისტიკის მიმართულებით ლაბორატორიაში სარგებლობენ პროგრამა SAP-ით. ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ონლაინ გზით. უნივერსიტეტს აქვს ინოვაციური მიდგომა სასაწყობე ლოგისტიკის სფეროში, რაც გამოიხატება ახალი ტექნოლოგიის სწავლებით ამ სფეროში, რომელიც სასაქონლო მარაგების მიღება/აღრიცხვას

ახდენს უმოკლეს დროში. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებელი ტექნიკის დემო ვერსია ინტერვიუს დროს ვიხილეთ სასაწყობო მარაგების მართვის სიმულაციურ ოთახში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დამსაქმებელთაგან ერთ-ერთმა (დიპლომატ ჯორჯიამ) გამოთქვა აზრი ზემოთ მოყვანილ პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა რომ ასეთი ნოვაცია პირდაპირ უხსნის გზას კურსდამთავრებულებს იყვნენ მსგავსი კომპანიებისთვის სასურველი კადრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუ-ს ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ○ სიმულაციის ლაბორატორია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვან მიღწევად შესაძლოა ჩაითვალოს ლოგისტიკის ლაბორატორიები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს პროცესი ცოცხლად წარმოიდგინონ და დეტალიზაცია გაითავისონ.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტის უფროსის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით, ასევე მასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ბიუჯეტი მდგრადია და შემოსავლები ყველა საჭირო ხარჯს ფარავს. გაცვლითი პროგრამა გერმანული მხარის მიერ ფინანსდება სრულად, სტუდენტის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის ჩათვლით. იგივე ვრცელდება გერმანიაში აკადემიური პერსონალის ტრენინგებთან დაკავშირებითაც. წარმოდგენილი აღრიცხვა-ანგარიშების მიხედვით ფაკულტეტის ბიუჯეტი 3,7 მილიონ ლარს შეადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ბიუჯეტში გაიწეროს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების, საერთაშორისო გამოფენებზე და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯებიც. ინფრასტრუქტურა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს საჭიროებს გაუმჯობესებას და ადაპტირებული გარემოს მოწყობას შშმ პირებისთვის, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსების პერმანენტულ განახლებას და ელექტრონული რესურსების გადამუშავებას და გამოცემას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის განხორციელების ძლიერი მხარეა მისი ფინანსური მდგრადობა, რაც უზრუნველყოფს განვითარებისთვის საჭირო რესურსებს. ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N01-05-04/108, 17 აპრილი 2018 წ.). სტუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ეფუძნება ISO 9000 სერიის ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმების და საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესის მიხედვით (იხ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილებები № 01-05-04/01 და № 01-05-04/12). ინტერვიუებმა ცხადყო რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული: აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, შესაბამისი დარგის წარმომადგენლები, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. გარდა ამისა, პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლების და შეფასების უზრუნველსაყოფად პროგრამა იყენებს თანამედროვე პედაგოგიურ მეთოდებს, რომელთა ჩამონათვალი და შესაბამისი აქტივობები სათანადო განმარტებებით, რეკომენდაციის სახით განთავსებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე. ხოლო კონკრეტული მეთოდები და აქტივობები მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში და მოწმდება მათი შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუ-ში მოქმედებს სტუდენტთა

აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. მიმდინარე მონიტორინგისა და პროგრამების პერიოდული შეფასებები ძირითადად სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამსაქმებელთა გამოკითხვას ეყრდნობა. სტუდენტის გამოკითხვის კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის ხარისხსა და ხელმისაწვდომობის შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული. შემუშავებულია კითხვარები დამსაქმებლებისათვის, რომლებიც დამსაქმებლებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ისე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული შესაძლებლობების შეფასების საშუალებას აძლევს. „ლოგისტიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ისე სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenilebaN2691.pdf), სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია (http://gtu.ge/StudyDep/Files/Pdf/stud_kontin_mob_inst_2018_SD_.pdf) და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, აგრეთვე, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული რეკომენდაციები და ა. შ. ინტერვიუს შედეგები; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.	
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა	

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ლოგისტიკა“ აკრედიტაცია მიანიჭებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბერს N 459 გადაწყვეტილების საფუძველზე. 2014 წლის 13 დეკემბერს აკრედიტაციის საბჭოს N282 დადგენილებით, 2012 წლიდან 2018 წლამდე დაწესებულების მიერ წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. ამასთან, შესრულდა წინა აკრედიტაციისას გამოთქმული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებები; o წლიური თვითშეფასებები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის და ხარისხის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელიც დაეყრდნო პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებსა და ინტერვიუებს. მათი მოსაზრებები და რჩევები გამოიყენებულ იქნა პროგრამის გასაუმჯობესებლად. შეფასების პროცესებში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის უცხოელი პარტნიორები, სტუდენტები და დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. შეფასებები ხორციელდებოდა როგორც შეხვედრებზე, ისე კითხვარებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პროგრამის შეფასების მიზნით დამუშავდა და გაანალიზებულ იქნა არსებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობის კუთხით განხორციელდა მოდიფიცირებული პროგრამის შედარება 3 უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, რომელთა სწავლის შედეგების და სასწავლო თემატიკების შესაბამისობამ ცხადყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხი და საერთაშორისო ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სტუ-ს რექტორის ბრძანება 28.03.2016 № 42 „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450 „სტუ-ს სასწავლო და

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“;

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ;

გამოკითხვების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ლელა ბაბტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თეიმურაზ კოჩიაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნათელა გიორგაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ლაშა დიასამიძე